დიდი მატჩი კიევში

კიევი. ნ.ს. ხრუშჩოვის სახელობის რესპუბლიკური სტადიონი. 11 ოქტომბერი.

“დინამო” (კიევი) _ “დინამო” (თბილისი) 1:1 (0:0).

თბილისი: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, გ. სიჭინავა, მელაშვილი (იამანიძე), ხელაძე, კალოევი, ბარქაია, მესხი.

კიევი: მაკაროვი, შჩეგოლკოვი, ტურიანჩიკი, სუჩკოვი, ვოინოვი, საბო, ბაზილევიჩი, სერებრიანიკოვი, კანევსკი, ვერიგინი (ბიბა), ლობანოვსკი.

მსაჯი ი. ლიტვინასი (ვილნიუსი).

ლაპარაკი იმაზე, რომ სპორტული კიევი უდიდესი ინტერესით ელოდებოდა 11 ოქტომბრის მატჩს ორ ლიდერს შორის, მთელი სისრულით არ ასახავს ამ თამაშის მნიშვნელობას, იგი მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მოვლენაა და ამიტომ მისი შედეგით კიევისა და თბილისის გარდა დაინტერესებული იყო მოსკოვიც, ლენინგრადიც, დონეცკიც...

მაყურებლებმა კარგად იცოდნენ, რომ თბილისელებს აკლიათ ორი წამყვანი მოთამაშე _ იამანიძე და ხურცილავ.ა. ეს ისეთი დანაკლისია, რომლის შევსება გუნდისათვის შეუძლებელი საქმეა. მითუმეტეს, რომ მას შეეძლო ბზარი დაემჩნია ახლა უკვე ყველასათვის ცნობილი “ტანდემისათვის” _ ჩოხელი-ხურცილავა. მაგრამ როგორც მატჩის მსვლელობამ გვიჩვენა, თბილისელებმა შეძლეს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება და სწორედ დაცვის მონოლითური, შეწყობილი და კვალიფიციური თამაშის წყალობით მოიპოვა გუნდმა უაღრესად საჭირო ქულა.

პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. სტუმრებმა შეტევით დაიწყეს თამაში. მათს თავდასხმაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ბარქაია და კალოევი, ხოლო კიეველთა დაცვის გაძლიერებული ყურადღება მესხის მიმართ, მოწინააღმდეგეს უქმნიდა ცენტრში აქტიური მოქმედების საშუალებას.

კიეველებმა თანდათან გაათანაბრეს მდგომარეობა. მინდვრის შუაგულში მოპოვებული უპირატესობა მათ მეთოდურად განავითარეს და თამაში გადაიტანეს მოპირდაპირე საჯარიმო მოედანზე. აქ ყველაზე სახიფათოდ თამაშობდა მარცხენა გარემარბი ლობანოვსკი, რომელიც თავის მაღალ ინდივიდუალურ ოსტატობას საუკეთესოდ უხამებდა პარტნიორების კომბინაციურ ურთიერთმოქმედებას. თბილისელთა კართან რამდენჯერმე შეიქმნა მეტად სახიფათო მომენტი, მაგრამ კოტრიკაძემ შეძლო აეღო თითქმის უიმედო ბურთები.

მეორე ტაიმში კიეველთა უპირატესობამ კიდევ უფრო ნათელი ფორმა მიიღო, მათი ფორვარდები სულ უფრო მეტი ენერგიით და სისწრაფით უტევდნენ მეტოქეს და სწორედ აქ, ამ რთულ სიტუაციაში გამოვლინდა თბილისელთა გუნდის დაცვის უმაღლესი ორგანიზებულობა და სიმტკიცე. ბრწყინვალედ ითამაშა გივი ჩოხელმა, რომელიც შესანიშნავად ხელმძღვანელობდა საკუთარი კარის წინ წარმოებულ ყველა ოპერაციას.

ეს იერიშები კარგა ხანს გაგრძელდა. თბილისელები ხშირად კარგავდნენ ბურთს წინა ხაზზე, თითქმის უმოქმედოდ იყო მარცხენა ფრთაზე მესხი და მასპინძლებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეტევა ეწარმოებინათ ხანგრძლივი დროით ნახევარმცველთა მონაწილეობით. 67-ე წუთზე ბ. სიჭინავამ ჯარიმა მიიღო ლობანოვსკისთან შეტაკებისას. ლობანოვსკიმ მოჭრილი ბურთი მიაწოდა საჯარიმო მოედანზე. აქ სწრაფად გავიდა წინ საბო და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში _ 1:0.

დასაფარავი არაფერია, რომ ამ მომენტში კიეველთა გამარჯვება თითქმის არავისში არ იწვევდა ეჭვს, მაგრამ სტუმრების რიგებში მოხდა ცვლილება: მელაშვილის ნაცვლად მინდორზე გამოვიდა იამანიძე. ასეთი ცვლილება უკვალოდ არ რჩება ხოლმე და თბილისელებმაც დარჩენილ მცირე დროში ყველაფერი გააკეთეს, რომ მაქსიმალურად გამოეყენებინათ თავიანთი კაპიტანის შემოსვლა თამაშში.

ფინალურ სასტვენამდე დარჩენილი იყო 7 წუთი, როცა იამანიძემ წინ გაიყვანა კალოევი. ეს კომბინაცია დამთავრდა ცენტრფორვარდის მიერ გატანილი გოლით, რომელმაც აღადგინა თანაბრობა ლიდერთა შორის _ 1:1.

განვლილ მატჩში კიეველმა მაყურებლებმა იხილეს უმაღლესი კლასის ფეხბურთი.

პ. ბესმერტნი, ჩვენი სპეც. კორ.
“ლელო”, 13 ოქტომბერი 1962 წ.